ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1305478

ნომერი: AR1225476

თარიღი : 02.06.2014

გაცემის თარიღი : 05.06.2014

გაცნობის თარიღი : 06.06.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 4-ში კამბოლური დართვის ფაბრიკის , მიმდებარედ , (ნაკვეთი N 05/006) ;
ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 4-ში კამბოლური დართვის ფაბრიკის , მიმდებარედ , (ნაკვეთი N 005/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1225476 განაცხადის პასუხად გაცნობებთ შემდეგს: რომ მიწის ნაკვეთები საკადასტრო კოდით #01.11.19.005.026 და #01.11.19.005.007 დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2), ხოლო #01.11.19.005.026 მიწის ნაკვეთის მცრე ნაწილი სამრეწველო ზონა 1 (ს–1)–შიც (იხ. დანართი).

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება #4-13 ,,ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები”-ს მიხედვით სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2)–ში ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება სასაწყობე დანიშნულების ობიექტის ფუნქციით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ზონალური შეთანხმებით, სადაც ასევე განიხილება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ამქსიმალური კოეფიციენტის მომატების საკითხიც. რადგან აღნიშნული მიწის ნაკვეთების ნაწილი მდებარეობს მდ. მტკვრის წყალდაცვის ზოლის არეალში, გამომდინარე აქედან, სამსახურმა რომ შესძლოს გადაწყვეტილების მიღება და მომზადდეს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საჭიროა წარმოადგინოთ „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო“-დან თანხმობა განსახორციელებელი მშენებლობის შესახებ. სამსახური გადაწყვეტილებას მიიღებს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 02 ივნისს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 04 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 08 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი დაზუსტებული მოთხოვნა საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

(დანართი : ერთი გვერდი)

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.